

ახალგაზრდების შესაძლო როლი სამოქალაქო და რეგიონულ  
განვითარებაში ალტერნატიული არასამხედრო შრომითი სამსახურის  
მეშვეობით

თორნიკე ჩარგეიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აქვე, მსურს დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელთაც დახმარება გამიწიეს ნაშრომზე მუშაობისას. ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელთან ერთად, მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო პროექტ „საქართველოს მოხალისის“ მოხალისეს ონისე ჯანაშიას, პროექტ „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ მოხალისე პედაგოგებს თამუნა მაჭარაშვილსა და ფიქრია დემეტრაშვილს, მშვიდობის კორპუსის ქართულ ოფისს და განსაკუთრებით აღმასრულებელი ასისტენტის მოვალეობის შემსრულებელ გვანცა გათენაძეს.

თორნიკე ჩარგეიშვილი

24.06.2015

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სავალდებულო სამხედრო სამსახურის საკითხი და მისი სოციალური ლეგიტიმურობა. წარმოდგენილია ალტერნატიული არასამხედრო შრომითი სამსახურის საკანონმდებლო ბაზა და მისი რეალური იმპლემენტაციის მახასიათებლები. ამასთანავე, გამოკვლეულია საქართველოში არსებული სამთავრობო მოხალისეობრივი ინიციატივები და ეს უკანასკნელი წარმოდგენილია, როგორც სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ გზად.

ნაშრომი შედგება სამი თავისაგან. პირველი თავი ეთმობა სავალდებულო სამხედრო სამსახურს. აქ წარმოდგენილია საკანონმდებლო ჩარჩო და ალტერნატიული არასამხედრო შრომითი სამსახურის თავისებურებები. განხილულია სავალდებულო სამხედრო სამსახურის მიზანშეწონილობის საკითხი და ამ უკანასკნელისაგან თავის არიდების ტენდენციის მიზეზები. ამავე თავში წარმოდგენილია სავალდებულო სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული რაოდენობრივი მონაცემები, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა თუ რა „უჯდება“ სახელმწიფოს ასეთი სამსახურის არსებობა.

მეორე თავი ეთმობა საქართველოში არსებულ სამთავრობო მოხალისეობრივ ინიციატივებს. აქ განხილულია ქართული პროექტები „საქართველოს მოხალისე“ და „ქართული ენა წარმატებული მომავლისათვის“ და ერთიც ამერიკის სამთავრობო სააგენტოს, მშვიდობის კორპუსის პროექტი, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების მოწვევითა და პარტნიორობით ხორციელდება. ამ თავში ძირითადი აქცენტი დასმულია ასეთი ინიციატივების უნარზე, შექმნან უმნიშვნელოვანელი სოციალური კაპიტალი და პროდუქტი. ამ შესაძლებლობის დასადასტურებლად მოყვანილია შესაბამისი რაოდენობრივი მონაცემებიც.

ნაშრომის მესამე თავი ეთმობა დასკვნასა და რეკომენდაციებს, რომელიც გულისხმობს ალტერნატიული არასამხედრო შრომითი სამსახურისა და სამთავრობო მოხალისეობრივი ინიციატივების ურთიერთშეთანხმებას, რამაც საბოლოოდ უნდა გადაჭრას სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებული პრობლემები და შექმნას სამოქალაქო განვითარების პლატფორმა ახალგაზრდების რესურსების მაქსიმალური გამოყენებით.